სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 51

2011 წლის 03 აგვისტო

ქ. თბილისი

სასწავლო-შემეცნებითი კომპიუტერული პროგრამების გრანტის 2011 წლის კონკურსის გამართვის, საგრანტო განაცხადების მიღების ვადების დადგენისა და საგრანტო განაცხადების ფორმების დამტკიცების შესახებ

„მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24[1] მუხლის, „სასწავლო-შემეცნებითი კომპიუტერული პროგრამების გრანტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 23 ივნისის №171 დადგენილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“, „ე“ და „თ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭოს 2010 წლის 10 დეკემბრის №02 ოქმის (გადაწყვეტილების) გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს 2011 წლის 3 აგვისტოს „სასწავლო-შემეცნებითი კომპიუტერული პროგრამების გრანტის 2011 წლის კონკურსი“.
2. საპროექტო განაცხადების სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში შემოტანის ბოლო ვადად განისაზღვროს 2011 წლის 23 აგვისტოს 18 საათი.
3. დამტკიცდეს „სასწავლო-შემეცნებითი კომპიუტერული პროგრამების გრანტის 2011 წლის კონკურსი“ საპროექტო განაცხადების ფორმები:
   ა) განაცხადი კონკურსში მონაწილეობის თაობაზე (დანართი №1);

ბ) განაცხადის წარმომდგენთა შესახებ ზოგადი მონაცემები (დანართი №2);

გ) პროექტის აღწერა (დანართი №3);

დ) პროექტის ბიუჯეტი (დანართი №4).

4. საკონკურსო დოკუმენტაცია ფონდში წარდგენილ უნდა იქნეს ნაბეჭდი (ორ ეგზემპლარად) და ელექტრონული (კომპაქტ დისკზე) სახით.
5. დაევალოს ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტს (თ. გორგოძეს) წინამდებარე ბრძანების საჯარო გაცნობისათვის განთავსება ფონდის ვებ-გვერდზე: www.rustaveli.org.ge.
6. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

სულხან სისაური